საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 3 „ 31 „ 01 2018 წ

დადგენილება № 9

სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის №51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით არჩეულ იქნეს მაკა ბერიძე პ/ნ 47001025656.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ–გვერდეზე.

4.საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი N1. 31.01.2018წ.

5.დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მეგაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი, მერაბ ბერიძე

ქ რუსთაველის ქ. №113. 0800 ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli st., 0800 Akhaltsikhe, Georgia
http://www.sjuni.edu.g
ტელეფონი: 5(99) 063 366, 5(77) 050 640 Tel.
ფაქსი: +995 365 22 19 90 Fax
ელ-ფოსტა: rector@sjuni.edu.geE-mail
ელ-ფოსტა: contact@sjuni.edu.geE-mail